პრეზიდენტი თომას ს. მონსონის მიერ

სიყვარული – სახარების არსი

ჩვენ არ შეგვიძლია ჭეშმარიტად გვიყვარდეს ღმერთი, თუ არ გვიყვარს ჩვენი თანამგზავრი მოყვასნი ამ მიწიერ მოგზაურობაში.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, როცა მხსნელი ადამიანთა შორის მსახურობდა, ერთმა რჯულის მცოდნემ ჰკითხა მას: „მოძღვარო, რომელი მცნებაა დიდი რჯულში?“

მათემ ჩაიწერა იესოს პასუხი:

„იესომ უთხრა მას: შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით.

„ეს არის პირველი და დიდი მცნება.

„ და მეორე ამის მსგავსი: შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.[1]

მარკოზი ასრულებს ჩანაწერს მხსნელის განცხადებით: “ამათზე დიდი მცნება არ არსებობს“.[2]

ჩვენ არ შეგვიძლია ჭეშმარიტად გვიყვარდეს ღმერთი, თუ არ გვიყვარს ჩვენი თანამგზავრი მოყვასნი ამ მიწიერ მოგზაურობაში. ამის მსგავსად, ჩვენ არ შეგვიძლია სრულად გვიყვარდეს მოყვასი, თუ არ გვიყვარს ღმერთი, ჩვენი მამა. იოანე მოციქული ამბობს: „და ასეთი მცნება გვაქვს მისგან, რომ ღვთის მოყვარულს თავისი ძმაც უნდა უყვარდეს“.[3] ჩვენ ყველანი მამაზეციერის შვილები ვართ, მაშასადამე, ჩვენ ყველანი დები და ძმები ვართ. როცა ჩვენ ეს გვეხსომება, გაცილებით გაგვიადვილდება ღვთის ყოველი შვილის შეყვარება.

ფაქტიურად, სიყვარული არის სახარების არსი და იესო ქრისტე ჩვენი მაგალითია. მისი ცხოვრება სიყვარულის მემკვიდრეობაა. ავადმყოფთა განკურნება, დაცემულთა წამოყენება, ცოდვილთა გადარჩენა და ბოლოს, გაბრაზებულმა ბრბომ მოუსწრაფა მას სიცოცხლე. და მაინც, გოლგოთიდან ისმის სიტყვები: „მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას აკეთებენ“[4]–მიწიერი ცხოვრების სიყვარულისა და მოწყალების გამოხატვის გვირგვინი.

არსებობს სიყვარულის გამოხატვის მრავალი ნიშანი, როგორებიცაა: სიკეთე, მოთმინება, უანგარობა, შეგნება და პატიება. ჩვენს ყველა ურთიერთობაში ეს და სხვა მსგავსი ატრიბუტები ჩვენს გულებში სიყვარულის დასტური გახდება.

როგორც წესი, სიყვარული მჟღავნდება ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობებში. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება გასაჭირის დანახვა და მასზე რეაგირება. მე ყოველთვის გულით ვატარებდი ამ მოკლე ლექსში გამოხატულ გრძნობას:

მე ღამით მიტირია
სიბეცის გამო
თუ ვიღაცის გასაჭირი ვერ
შევნიშნე;
მაგრამ ჯერ არასდროს
არ მიგრძვნია სინანული
ჭარბი სიკეთის გამო.[5]

მე ცოტა ხნის წინ შევიტყვე სიყვარულით აღსავსე სიკეთის გულისამაჩუყებელი მაგალითის შესახებ, ისეთის, რომლის შედეგებსაც ვერ განჭვრეტ. ეს მოხდა შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილში 1933 წ. დეპრესიის წლებში, როცა დასაქმების შანსი ძალიან დაბალი იყო. არლინ ბისეკერმა ეს-ესაა დაამთავრა სკოლა. სამსახურის ძებნის დიდი ხნის მცდელობების შემდეგ მან ბოლოს და ბოლოს ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მკერავის ადგილი იშოვა. მუშების დღიური ანაზღაურება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენ ერთეულს შეკერავდენ წუნის გარეშე. რაც უფრო მეტ ერთეულს

შეკერავდნენ, მით უფრო მეტი ანაზღაურება ექნებოდათ.

ერთხელ, როცა არლინი ახალი მოსული იყო ფაბრიკაში, იგი სირთულის წინაშე აღმოჩნდა. არლინი დაბნეული და გულდაწყვეტილი იყო. იგი საკერავ მანქანასთან იჯდა და ცდილობდა დაერღვია ის, რაც შეცდომით შეკერა. ყველა საკუთარი საქმით იყო დაკავებული, რადგან ცდილობდნენ, შეძლებისდაგვარად, მეტი ერთეული შეკერათ, ისე რომ, არავისგან არ ჰქონდა დახმარების იმედი. არლინმა თავი დაუცველად და უიმედოდ იგრძნო. მან ჩუმად ტირილი დაიწყო.

არლინის პირდაპირ ბერნის როკი იჯდა. იგი ასაკითაც უფროსი იყო და მეტი გამოცდილებაც ჰქონდა. ბერნისმა არლინის მდგომარეობა შენიშნა, ამიტომაც თავისი საქმე მიატოვა და მასთან მივიდა. მან არლინს კეთილი დარიგებები მისცა,ხმარება გაუწია და მასთან დარჩა, სანამ არლინმა თავისი ერთეული წარმატებით არ დაამთავრა. შემდეგ კი თავის მანქანასთან დაბრუნდა, თუმცა არლინზე დახარჯული დროის გამო მან დაკარგა შანსი, მეტი ერთეული შეეკერა.

ამ ერთი მოსიყვარულე სიკეთის გამო ბერნისი და არლინი სამუდამოდ დამეგობრდნენ. ორივენი დაოჯახდნენ და შვილები იყოლიეს. სადღაც 1950 წლებში ბერნისმა, რომელიც ეკლესიის წევრი იყო, არლინსა და მის ოჯახს მორმონის წიგნი აჩუქა. 1960 წ. არლინი, მისი მეუღლე და შვილები მოინათლნენ და ეკლესიის წევრები გახდნენ. მოგვიანებით ისინი ღვთის წმინდა ტაძარში ჩაიბეჭდნენ.

ბერნისის მიერ გაღებული მოწყალების გამო, როცა საკუთარი საქმე მიატოვა და მისთვის უცნობი გაჭირვებაში მყოფი ადამიანის დასახმარებლად წავიდა, უამრავი ადამიანი, ცოცხალი და გარდაცვლილი, ტკბება სახარების ხსნის წეს-ჩვეულებებით.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ გვეძლევა იმის საშუალება, რომ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების მიმართ სიყვარული და სიკეთე გამოვხატოთ. პრეზიდენტმა კიმბალმა თქვა: „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები, რომლებსაც ვხვდებით ავტო სადგომებზე, ოფისებში, ლიფტებშე და სხვა ადგილებში, წარმოადგენენ კაცობრობის იმ ნაწილს, რომელიც ღმერთმა მოგვცა იმისთვის, რომ გვიყვარდეს ისინი და ვემსახუროთ მათ. ჩვენ დიდ სარგებელს არ მოგვიტანს ზოგადად კაცობრიობაში ძმობაზე საუბარი, თუ ჩვენ ვერ მოვექცევით ჩვენს ირგვლივ მყოფთ ისე, როგორც ჩვენს დებსა და ძმებს“.[6]

ხშირად სიყვარულის გამოხატვის საშუალებანი მოულოდნელად გვეძლევა. ასეთი საშუალების მაგალითი 1981 წ. ოქტომბრის გაზეთში დაიბეჭდა. ჩემზე იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იქ აღწერილმა სიყვარულმა და თანაგრძნობამ, რომ ეს სტატია 30 წელიწადზე მეტი შენახული მქონდა.

სტატიაში ნათქვამია, რომ ალასკის ავიახაზების თვითმფრინავი, რომელიც ასრულებდა პირდაპირ რეისს ანკორიჯი (ალიასკა) – სიეტლი (ვაშინგტონი), 150 მგზავრით ბორტზე, გადაიგზავნა ალასკის შორეულ ქალაქში მძიმედ დაშავებული ბავშვის გადასაყვანად. ორი წლის ბავში, სახლთან ახლოს თამაშის დროს შუშაზე დაეცა და არტერია დაიზიანა. ქალაქი ანკორიჯის სამხრეთით 725 კმ მანძილზე მდებარეობდა და რა თქმა უნდა, ფრენის ტრაექტორიაზე არ იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივმა ექიმებმა სასწრაფო დახმარება მოითხოვეს, ასე რომ თვითმფრინავმა კურსი შეცვალა, რათა ბავშვი სიეტლის საავადმყოფოში გადაეყვანათ.

როცა თვითმფრინავი მოშორებულ ქალაქში დაეშვა, ექიმებმა უთხრეს პილოტს, რომ ბავშვს იმდენად ძლიერი სისხლდენა ჰქონდა, რომ იგი სიეტლში გადაფრენას ვერ გადაიტანდა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება – გაფრენილიყვნენ უახლოეს ქალაქში, სადაც საავადმყოფო იქნებოდა, ასე რომ თვითმფრინავმა ალასკის ქალაქ ჯუნიუსკენ აიღო კურსი და კიდევ 320 კმ უნდა გაევლო.

ბიჭუნას ჯუნიუში გადაყვანის შემდეგ თვითმფრინავმა სიეტლისკენ განაგრძო ფრენა, ახლა უკვე დიდი დაგვიანებით. არც ერთ მგზავრს არ უწუწუნია, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ უმეტესობას დააგვიანდა შეხვედრებზე ან სატრანზიტო რეისებზე. ამაზე მეტიც კი, იმ საათებში ბავშვის ოჯახს საკმაოდ დიდი თანხა შეუგროვეს.

როცა თვითმფრინავი მზად იყო დასაშვებად და მფრინავმა გამოაცხადა, რომ რადიოთი შეიტყო ბავშვის გადარჩენის ამბავი, მგზავრები ამას ტაშით შეხვდნენ.[7]

მე გამახსენდა სიტყვები წმინდა წერილიდან, სადაც ნათქვამია, რომ მოწყალება არის ქრისტეს წმინდა სიყვარული და მათ, ვინც ჰპოვებენ მას ბოლო დღეს, არაფერი არ დაუშავდებათ.[8]

დებო და ძმებო, ჩვენი სიყვარულის გამოხატვის ზოგიერთი უდიდესი საშუალებები ჩვენი საკუთარი სახლის კედლებშია. ოჯახური ცხოვრების ცენტრი სიყვარული უნდა იყოს, თუმცა ზოგჯერ ეს ასე არ არის. შეიძლება იყოს ზომაზე მეტი მოუთმენლობა, კამათი, უთანხმოება, ცრემლი. პრეზიდენტი გორდონ ბ. ჰინკლი წუხდა: „რატომ ხდება ისე, რომ ისინი, ვინც ყველაზე მეტად გვიყვარს, ჩვენი უსიამოვნო სიტყვების სამიზნე ხდებიან? რატომ არის, რომ ზოგჯერ ვსაუბრობთ ისე, თითქოს ხანჯლებს ვისვრით“?[9] ამ კითხვაზე პასუხი ყველას თავისი ექნება, მაგრამ საბოლოო ჯამში მთავარი ის არის, რომ მიზეზს მნიშვნელობა არ აქვს. თუ გვინდა

დავიცვათ მცნება – გვიყვარდეს ერთმანეთი, ჩვენ უნდა ერთმანეთს კეთილად და თავაზიანად მოვექცეთ.

რა თქმა უნდა, დადგება დრო, როცა საჭირო გახდება წესრიგის დამყარება. მაგრამ მოდით გვახსოვდეს მოძღვრება და აღთქმებში მოცემული რჩევა, რომ როცა საჭიროება მოითხოვს ვიღაცისთვის საყვედურის თქმას, ამის შემდეგ ამ პიროვნების მიმართ კიდევ უფრო მეტი სიყვარული უნდა გამოიხატოს.[10]

იმედი მაქვს, რომ ჩვენ ყოველთვის ვეცდებით, ვიყოთ ყურადღებიანნი და მგრძნობიარენი ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების აზრებისა და გრძნობების მიმართ. მოდით ნუ ვაწყენინებთ და ნუ გავაკრიტიკებთ. ამის ნაცვლად ვიქონიოთ თანაგრძნობა და გავამხნევოთ სხვები. ფგრთხილად უნდა ვიყოთ, რათა დაუფიქრებელი სიტყვებისა ან ქმედებების გამო არ გავანადგუროთ სხვა ადამიანის თავდაჯერებულობა.

მიტევება სიყვარულის თანამგზავრია. ოჯახებში, ისე, როგორც მეგობრებს შორის, შეიძლება იყოს წყენა და გაუგებრობა. კვლავ გავიმეორებ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რაოდენ პატარა იყო ამის მიზეზი. ნუ მისცემთ ნებას წყენით მიყენებულ ჭრილობას თქვენი განადგურების საშუალებას. დაბრალება ხელს უშლის ჭრილობის შეხორცებას. მხოლოდ მიტევება კურნავს.

ერთხელ მე მესტუმრა საყვარელი ქალბატონი, აწ გარდაცვლილი და მოულოდნელად გამოხატა სინანული. მან მრავალი წლის წინ მომხდარი შემთხვევა მიამბო, როცა ერთ ფერმერთან, წარსულში მათი ოჯახის მეგობართან, ბევრჯერ უთანხმოება მოუვიდათ. ერთხელ ამ ფერმერმა სთხოვა, მათი მამულით მოკლეზე გადასულიყო თავის ნაკვეთში. აქ ქალბატონი შეჩერდა და აკანკალებული ხმით მითხრა: „ძმა მონსონ, მე მაშინ მას ამაზე უარი ვუთხარი და იმ დროიდან მას ფეხით, შემოვლითი გზით, უწევდა თავის ნაკვეთში სიარული. მე ვტყუოდი და ვნანობ ამას. ახლა იგი უკვე ცოცხლი აღარ არის, მაგრამ როგორ მინდა, შემეძლოს მისთვის ბოდიშის მოხდა. როგორ მინდა კეთილი საქმის გასაკეთებლად მეორე შანსი მომეცეს“.

როცა მე მას ვუსმენდი, გამახსენდა ჯონ გრინლიფ უიტიერის სიტყვები: „ყველა სევდიანი სიტყვებიდან, რომლებიც ოდესმე დაწერილა ან თქმულა, ყველაზე სევდიანია – *‘შეიძლებოდა!’*”[11] დებო და ძმებო, როცა სხვებს სიყვარულითა და სიკეთით ვექცევით, ჩვენ მსგავს სინანულს ავარიდებთ თავს.

სიყვარულის გამოხატვის მრავალი ამკარა ხერხი არსებობს: ღიმილი, ხელის დაქნევა, კეთილი კომენტარი. სხვა ხერხები შეიძლება უფრო შეუმჩნეველი იყოს: ვიღაცის საქმიანობაში ინტერესის გამოხატვა, სწავლების გადმოცემა სიკეთითა და მოთმინებით, ავადმყოფისა ან ოთახის კედლებში გამოკეტილი ადამიანის მონახულება. მსგავსი სიტყვები და მოქმედებები და კიდევ მრავალი სხვა, გამოხატავს სიყვარულს.

დეილ კარნეგის, კარგად ცნობილ ამერიკელ ავტორსა და ლექტორს, სწამდა, რომ ყოველ ადამიანში არსებობს „ძალა, რომლითაც მას შეუძლია მსოფლიოში ბედნიერების შემაჯამებელი რიცხვის გაზრდა . . . უბრალოდ იმით, რომ გულწრფელი მადლიერება გამოხატოს მათ მიმართ, ვინც მარტო ან გულგატეხილია“. მან თქვა: „თქვენ შეიძლება ხვალ დაგავიწყდეთ ის კეთილი სიტყვები, რაც თქვენ დღეს თქვით, მაგრამ მათ, ვისაც ეს სიტყვები უთხარით, შეიძლება მთელი ცხოვრება გულით ატარონ ისინი“.[12]

მოდით დავიწყოთ ახლა, ამ წუთას, სიყვარულის გამოხატვა ღვთის ყველა შვილის მიმართ, არიან ისინი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნაცნობები თუ საერთოდ უცნობები. მოდით გადავწყვითოთ ყოველ დილით, გაღვიძებისას, სიყვარულითა და სიკეთით ვუპასუხოთ ყველაფერს, რის წინაშეც აღმოვჩნდებით ამ დღეს.

ჩემო დებო და ძმებო, ღმერთის სიყვარული ჩვენს მიმართ ჩვენს აზროვნების ფარგლებს სცდება. ამ სიყვარულის გამო მან გამოგზავნა თავისი ძე, რომელმაც ისე შეგვიყვარა, რომ სიცოცხლე დათმო ჩვენთვის, რათა მარადიული სიცოცხლე გვქონოდა. როცა ამ შეუდარებელი ძღვენის აზრს ჩავწვდებით, გულები სიყვარულით აგვევსება მამაზეციერის, მხსნელისა და მთელი კაცობრიობის მიმართ. ამისთვის მე გულითადად ვლოცულობ იესო ქრისტეს წმინდა სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. მათე 22:36–39.
2. მარკოზი 12:31.
3. 1 იოანე 4:21.
4. ლუკა 23:34.
5. Author unknown, in Richard L. Evans, “The Quality of Kindness,” *Improvement Era,* May 1960, 340.
6. *The Teachings of Spencer W. Kimball,* ედუარდ ლ. კიმბალის რედაქტირება (1982), 301.
7. See “Injured Boy Flown to Safety,” *Daily Sitka Sentinel* (Alaska), Oct. 22, 1981.
8. მორონი 7:41
9. Gordon B. Hinckley, “Let Love Be the Lodestar of Your Life,” *Ensign,* May 1989, 67.
10. იხ. მოძღვრება და აღთქმები 84:20.
11. “Maud Muller,” in *The Complete Poetical Works of John Greenleaf Whittier* (1878), 206; emphasis added.
12. Dale Carnegie, in, for example, Larry Chang, *Wisdom for the Soul* (2006), 54.

სადღეისო სწავლება

2014 წ. მაისიდან 2014 წ. ოქტომბრამდე, მეოთხე კვირის მელქიცედეკის სამღვდელოებისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები უნდა მომზადდეს 20014 წ. აპრილის გენერალური კონფერენციის მასალებიდან. 2014 წ. ოქტომბერში გამოსვლების შერჩევა შესაძლებელია როგორც 2014 წ აპრილის ასევე 2014 წ. ოქტომბრის გენერალური კონფერენციის მასალებიდან. პალოსა და ოლქის პრეზიდენტები ირჩევენ იმ გამოსვლებს, რომლებიც გამოყენებული იქნება მათ ოლქებში, თუმცა მათ შეუძლიათ დაავალონ ეს ეპისკოპოსებსა და მრევლის პრეზიდენტებს.

გამოსვლები სხვადასხვა ენებზე იხილით conference.lds.org.

© 2014 Intellectual Reserve, Inc.მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *First Presidency Message, May 2014.* Georgian.10865 131

პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი

იმედის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა

როცა თქვენ აკეთებთ არჩევანს – დადოთ ან დაიცვათ აღთქმა ღმერთთან, თქვენ ამით ირჩევთ, დაუტოვოთ იმედის მემკვიდრეობა მათ, ვინც მიჰყვება თქვენს მაგალითს.

ჩემო დებო და ძმებო, ზოგიერთი თგვენგანი მოწვეულია ამ შეხვედრაზე უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის მისიონერების მიერ. შესაძლოა, ამ მისიონერებმა უკვე მოგიწვიეს, რათა გააკეთოთ არჩევანი – მოინათლოთ და ამით დადოთ აღთქმა ღმერთთან.

სხვები ისმენენ, რადგან მიიღეს მოწვევა მშობლის, მეუღლის ან შესაძლოა, შვილისგან იმ იმედით, რომ თქვენ გააკეთებთ არჩევანს – კვლავ გახადოთ ცხოვრების ცენტრალურ ნაწილად ის აღთქმები, რომლებიც თქვენ უკვე დადეთ ღმერთთან. ზოგიერთმა თქვენგანმა კი უკვე გააკეთა არჩევანი – კვლავ მიჰყვეს ქრისტეს და დღეს უკვე გრძნობს მისი შეგებების სიხარულს.

ვინც არ უნდა იყოთ და სადაც არ უნდ იყოთ, თქვენს ხელშია იმაზე მეტი ადამიანის ბედნიერება, ვიდრე თქვენ ეს წარმოგიდგენიათ. ყოველ დღე და ყოველ საათში თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ არჩევანი – დადოთ ან დაიცვათ აღთქმა ღმერთთან.

სადაც არ უნდა იყოთ ახლა მარადიული ცხოვრების ძღვენის მემკვიდრეობით მიღების გზაზე, თქვენ გაქვთ იმის საშუალება, აჩვენოთ ადამიანებს უფრო დიდი ბედნიერების მიღების ხერხი. როცა თქვენ აკეთებთ არჩევანს – დადოთ ან დაიცვათ აღთქმა ღმერთთან, თქვენ ამით ირჩევთ, დაუტოვოთ იმედის მემკვიდრეობა მათ, ვინც მიჰყვება თქვენს მაგალითს.

მე და თქვენ მივიღეთ ამ მემკვიდრეობის დაპირების კურთხევა. მე ჩემი ბედნიერების ლომის ხვედრი მივიღე იმ ადამიანის წყალობით, რომელიც არასდროს არ შემხვედრია ამ მიწიერ ცხოვრებაში. ეს იყო ობოლი, რომელიც გახდა ჩემი ერთ-ერთი წინაპარი. მან მე იმედის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა დამიტოვა. ნება მომეცით მოგიყვეთ, რა წვლილი მიუძღვის მას ჩემთვის ამ მემკვიდრობის მიღებაში.

მას ჰენრი აირინგი ერქვა. იგი დაიბადა ძალიან მდიდარ ოჯახში. მის მამას, ედვარდს, ქობურგში დიდი მამული ჰქონდა (ახლა ეს გერმანიის ტერიტორიაა). მისი დედა ვიკონტესა შარლოტა ფონ ბლომბერგი იყო. მამამისი პრუსიის მეფის მიწების დარაჯი იყო.

ჰენრი შარლოტასა და ედვარდის პირველი ვაჟი გახლდათ. შარლოტა 31 წლის ასაკში გარდაიცვალა, მესამე შვილის გაჩენის შემდეგ. ედვარდიც მალე გარდაიცვალა ამის შემდეგ. მოკლე ხანში მან უიღბლო დაბანდების გამო მთელი თავისი ქონება დაკარგა. იგი მხოლოდ 40 წლის იყო. მას სამი ობოლი შვილი დარჩა.

ჰენრიმ, ჩემმა დიდმა ბაბუამ, დაკარგა ორივე მშობელი და დიდი მემკვიდრეობა. იგი უკაპიკოდ დარჩა. მან თავის დღიურში გააკეთა ჩანაწერი, რომ მისი საუკეთესო მომავლის იმედები ამერიკას უკავშირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას იქ არც ოჯახი, არც მეგობრები არ ჰყავდა, ამერიკაში წასვლასთან დაკავშირებით მას იმედის განცდა ჰქონდა. იგი თავიდან ნიუიორკში წავიდა, მოგვიანებით კი

მისურის შტატში, სეინტ ლუისში გადავიდა.

სეინტ ლუისში იგი ერთ-ერთ უკანასკნელი დღეების წმინდანთან ერთად მუშაობდა. მან მისგან უხუცეს პარლი პ. პრატის მიერ დაწერილი ბუკლეტი მიიღო. მან ის წაიკითხა და უკანასკნელი დღეების წმინდანთა შესახებ შეისწავლა ყველაფერი, რაც კი შეეძლო. მან ილოცა, რათა გაეგო, მართლა გამოეცხადნენ ადამიანებს ანგელოზები, არსებობს თუ არა ცოცხალი წინასწარმეტყველი და ის, თუ იპოვა მან ჭეშმარიტი, გამოცხადების შედეგად მიღებული რელიგია.

ორი თვის გულდასმით შესწავლისა და ლოცვის შემდეგ, ჰენრის დაესიზმრა, რომ უნდა მონათლულიყო. ადამიანმა, რომლის სახელსა და მღვდლობას წმინდა მოგონებებში ვინახავ, უხუცესმა უილიამ ბრაუნმა, ჩაატარა ნათლობის წეს-ჩვეულება. ჰენრი მოინათლა წვიმის წყლის ტბორში 1855 წ. 11 მარტს დილის 7:30.

მე მჯერა,ჰენრი აირინგმა იცოდა, რომ ის, რასაც მე დღეს გასწავლით, ჭეშმარიტებაა. მან იცოდა, რომ მარადიული ცხოვრების ბედნიერება მოდის ოჯახური კავშირიდან, რომელიც მარად გრძელდება. მაშინაც კი, როცა იგი სულ ცოტა ხნის წინ გაეცნო უფლის ბედნიერების გეგმას, მან იცოდა, რომ მისი მარადიული ცხოვრების სიხარულის იმედი დამოკიდებული იყო სხვების თავისუფალ არჩევანზე – მიჰყვნენ მის მაგალითს. მისი მარადიული სიხარულის იმედი დამოკიდებული იყო იმათზე, ვინც ჯერ არ დაბადებულიყო.

მან, როგორც ოჯახური იმედის მემკვიდრეობის ნაწილი, თავის შთამომავლებს დაუტოვა ისტორია.

ამ ისტორიაში მე ვგრძნობ მის სიყვარულს მათ მიმართ, ვინც მას მიჰყვებოდა. მის სიტყვებში იგრძნობა იმის იმედი, რომ მისი შთამომავლები, შესაძლოა გააკეთებენ არჩევანს – მიჰყვენ მას იმ გზაზე, რომელიც მათ უკან, ზეციურ სახლში დააბრუნებთ. მან იცოდა, რომ ეს არ იქნებოდა ერთი დიდი და მნიშვნელოვანი არჩევანი, არამედ მრავალი მცირე არჩევანი. აი ციტატა მისი ისტორიიდან:

“იმ დროიდან, როცა პირველად მოვისმინე უხუცესი ანდრუსის გამოსვლა . . . მე ყოველთვის ვესწრებოდი უკანასკნელი დღეების წმინდანთა შეხვედრებს და ძალიან იშვიათად მიწევდა ამ შეხვედრების გაცდენა, მხოლოდ მაშინ, როცა დაკავებული ვიყავი.

„მე ამას აღვნიშნავ ჩემს ისტორიაში იმისთვის, რათა შვილებმა ჩემგან აიღონ მაგალითი და არასოდეს არ უგულებელყონ ეს . . . მნიშვნელოვანი ვალდებულება – [შეეიკრიბონ] წმინდანებთან ერთად“.[1]

ჰენრიმ იცოდა, რომ ზიარების შეკრებაზე ჩვენ შეგვეძლო განგვეახლებინა დაპირება – ყოველთვის გვახსოვდეს მხსნელი და რომ მისი სული მუდამ ჩვენთან იქნება.

ეს იყო ის სული, რომელიც ამხნევებდა მას იმ მისიაში, რომელზეც იგი მიწვეული იყო ნათლობის აღთქმის მიღებიდან სულ რამოდენიმე თვის შემდეგ. მან, მემკვიდრეობის სახით, საკუთარი ერთგულების მაგალითი დატოვა, როცა 6 წლის განმავლობაში მისიაში იმყოფებოდა იმ დროს ე.წ. ინდიელთა ტერიტორიაზე. მისიიდან განთავისუფლების ნებართვის მისაღებად იგი ოკლაჰომიდან სოლთ ლეიქ სითიში ფეხით ჩავიდა, რისთვისაც დაახლოებით 1 100 მილი (1 770 კმ) გაიარა.

მალე მან ღვთის წინასწარმეტყველისგან მოწოდება მიიღო – გადასულიყო სამხრეთ იუტაში. იქიდან იგი მეორე მოწოდებას დათანხმდა – ემსახურა მისიაში მშობლიურ გერმანიაში. შემდეგ მან მიიღო მოწოდება უფალი იესო ქრისტეს მოციქულისგან – დახმარებოდა ჩრდილო მექსიკაში უკანასკნელი დღეების წმინდანთა კოლონიების აშენებაში. იქიდან მას მოუწოდეს სრული დროის მისიაში მეხიკოში. მან პატივით მიიღო ყველა ის მოწოდება. იგი დაკრძალულია მექსიკაში, კოლონია სუარეს ჩიხუახუას პატარა სასაფლაოზე.

მე ჩამოვთვალე ეს ფაქტები არა იმიტომ, რომ განვადიდო იგი, ან მისი ნაღვაწი და ან მისი შთამომავლები. მე გავიხსენე ეს ფაქტები, რათა პატივი მივაგო მას იმ რწმენისა და იმედის მაგალითისთვის, რომელიც მას გულში ჰქონდა.

მან მიიღო ეს მოწოდებები რადგან სწამდა, რომ აღმდგარი ქრისტე და მამაზეციერი გამოეცხადნენ ჯოზეფ სმითს ნიუ იორკის მახლობლად პატარა ტყეში. მან მიიღო ისინი, რადგან ჰქონდა რწმენა, რომ მღვდლობის გასაღებები უფლის ეკლესიაში აღდგენილ იქნა ოჯახების მარადიული ჩაბეჭდვის ძალასთან ერთად, და ეს ყველაფერი შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ მათ საკმარისი რწმენა ექნებოდათ აღთქმების დასაცავად.

როგორც ჩემი წინაპარი, ჰენრი აირინგი, თქვენც შეგიძლიათ იყოთ თქვენს ოჯახში პირველი, ვინც მარადიული ცხოვრებისკენ მიმავალ გზაზე წინ გაუძღვება და გაატარებს მათ დადებული წმინდა აღთქმების ბილიკზე, რომლებსაც ისინი ბეჯითად და რწენით დაიცავენ. ისე, როგორც ჰენრისთვის, ყოველი ჩვენგანისთვისაცაც, ეს ვალდებულებები ზოგჯერ მარტივი, მაგრამ ძალიან რთულია. მაგრამ გახსოვდეთ, ვალდებულებები ზოგჯერ რთული უნდა იყოს, რადგან მათი მიზანია წინ წაგვწიონ იმ გზაზე, რომელსაც მივყავართ ოჯახებთან ერთად მამაზეციერთან და მის საყვარელ ძესთან, იესო ქრისტესთან, მარადიული ცხოვრების გზაზე.

თქვენ გახსოვთ აბრაამის სიტყვები:

და იდგა ერთი მათ შორის, რომელიც იყო ღმერთის დარი

და მან უთხრა მათ, ვინც მასთან იყვნენ: ჩვენ ჩავალთ დაბლა, რადგან იქ არის ადგილი და ავიღებთ ამ მასალებიდან და შევქმნით დედამიწას, რომელზეც ესენი იცხოვრებენ;

და ჩვენ მათ გამოვცდით, რათა ვნახოთ, შეასრულებენ თუ არა ისინი ყველაფერს, რასათა უფალი, მათი ღმერთი, უბრძანებს მათ;

და ისინი, ვინც შეინარჩუნებენ თავიანთ საწყის მდგომარეობას, მიემატებიან; და ისინი, ვინც ვერ შეინარჩუნებენ თავიანთ საწყის მდგომარეობას, ვერ იქონიებენ დიდებას იმავე სასუფეველში მათთან, ვინც შეინარჩუნა საწყისი მდგომარეობა; და ისინი, ვინც შეინარჩუნებენ მეორე მდგომარეობას, მათ თავს დიდება შეემატება მარადის[2]

ჩვენი მეორე მდგომარეობის შენარჩუნება დამოკიდებულია ჩვენს აღთქმებზე, რომლებსაც ვდებთ ღმერთთან და ერთგულად ვასრულებთ იმ ვალდებულებებს, რომლებსაც ისინი მოითხოვენ ჩვენგან. მთელი ცხოვრების მანძილზე წმინდა აღთქმების შენახვა მოითხოვს იმის რწმენას, რომ იესო ქრისტე არის ჩვენი მხსნელი.

ადამისა და ევას დაცემის გამო, ჩვემ მიწიერი მემკვიდრეობის სახით მივიღეთ ცდუნება, სირთულეები და სიკვდილი. თუმცა, ჩვენმა მოსიყვარულე მამაზეციერმა მხსნელის სახით გვიბოძა თავისი საყვარელი ძის, იესო ქრისტეს ძღვენი. ამ დიდებულ ძღვენს და იესო ქრისტეს გამოსყიდვის დალოცვას მოაქვს მიწიერი მემკვიდრეობა: აღდგომის დაპირება და მარადიული ცხოვრების შესაძლებლობა ყველას, ვინც დაბადებულა.

ღვთის ყველაზე დიდი დალოცვა – მარადიული ცხოვრება, მოვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავდებთ აღთქმებს, რომლებსაც გვთავაზობენ მისი უფლებამოსილი მსახურები იესო ქრისტეს ეკლესიაში. დაცემის გამო, ჩვენ ყველას გვჭირდება ნათლობის გამწმენდი შედეგი და სულიწმინდის ძღვენის მისაღებად ხელდასხმა. ეს წესჩვეულებები უნდა იყოს ჩატარებული მათ მიერ, ვინც ატარებს მღვდლობის უფლებამოსილებას. შემდეგ, ქრისტეს სინათლისა და სულიწმინდის დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ ღმერთთან დადებული ყველა აღთქმა, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც უფლის ტაძრებში ვდებთ. მხოლოდ ასე და ასეთი სახის დახმარებით, შეუძლია ვინმეს განაცხადოს პრეტენზია იმაზე, რომ უფლება აქვს, დაიმკვიდროს ღვთის შვილის მემკვიდრეობა მარადიულ ოჯახში.

რამოდენიმე ადამიანს, რომელიც ახლა მისმენს, ეს უიმედო ოცნებად მოეჩვენება.

თქვენ გინახავთ ერთგული მშობლები, რომლებიც წუხან შვილების გამო, რომლებმაც უარყვეს ან გააკეთეს არჩევანი – დაარღვიონ მათი აღთქმები ღმერთთან. მაგრამ ამ მშობლებს შეუძლიათ სხვა მშობლიური გამოცდილებებით აივსონ გული და ჩაისახონ იმედი.

ალმას შვილი და მეფე მოსიას შვილები დაბრუნდნენ ღმერთთან დადებული აღთქმებისა და მცნებების სასტიკი ჯანყიდან. ალმა უმცროსმა დაინახა თავისი ვაჟის, კორიანტონის, ზურგის შექცევა მძიმე ცოდვიდან ერთგული მსახურებისკენ. მორმონის წიგნი ასევე მოგვითხრობს ლამანიელთა სასწაულზე, როცა მათ უარი თქვეს ტრადიციაზე – მართლის სიძულვილზე და დადეს აღთქმა, თუნდაც სიკვდილის ფასად შეენარჩუნებინათ მშვიდობა.

ახალგაზრდა ალმას და მოსიას შვილებს ანგელოზი გამოუგზავნეს. ანგელოზი მოევლინა მათ მათი მამებისა და ღვთის ხალხის რწმენისა და ლოცვების გამო. ადამიანების გულებში გამოსყიდვის ძალის მაგალითებით, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ გამბედაობა და ნუგეში.

უფალმა ყველას მოგვცა იმედის წყარო მაშინ, როცა ჩვენ ასე ვცდილობთ, დავეხმაროთ მათ, ვინც გვიყვარს, მიიღონ თავიანთი მარადიული მემკვიდრეობა. იგი დაგვპირდა, როცა ჩვენ ვცდილობთ, შევუკრიბოთ მას ხალხი, მაშინაც კი, როცა ისინი ეწინააღმდეგებიან მის მოპატიჟებას. მათი წინააღმდეგობა ანაღვლიანებს მას, მაგრამ იგი არ ნებდება და არც ჩვენ არ უნდა დავნებდეთ. იგი, თავისი მუდმივი სიყვარულით, ჩვენ სრულყოფილ მაგალითს გვაძლევს, როცა გვეუბნება, რომ მრავალჯერ უნდოდა იერუსალიმის სახლის ხალხის შეკრება, მაგრამ მათ ეს არ ისურვეს.[3]

ჩვენ შეგვიძლია დამოკიდებულნი ვიყოთ მხსნელის საიმედო სურვილზე – დააბრუნოს ყველა მამაზეციერის სულიერი შვილი თავის სახლში. ყოველი ერთგული მშობელი, ბებია და პაპა და მათი წინაპრები იზიარებენ ამ სურვილს. მამაზეციერი და მხსნელი არიამ ჩვენი სრულყოფილი მაგალითი იმისა, თუ რა შეგვიძლია და რა უნდა ვაკეთოთ. ისინი არასდტოს არ გვაძალებენ პატიოსნებას, რადგან პატიოსნება უნდა აირჩიონ. ისინი პატიოსნებას ხდიან ჩვენთვის თვალსაჩინოს და გვიჩვენებენ, რომ მისი ნაყოფი გემრიელია.

ყოველი ადამიანი იბადება ქრისტეს ნათელით, რაც გვეხმარება დავინახოთ და ვიგრძნოთ სწორი და მცდარი. ღმერთმა გამოგვიგზავნა მიწიერი მსახურები, რომლებსაც სული წმინდის მეშვეობით შეუძლიათ დაგვეხმაროონ გავიგოთ ის, თუ რა სურს მას, რომ ვაკეთოთ და რას გვიკრძლავს. ღმერთი სწორი არჩევანის გაკეთებას აძლევს იმ ხიბლს, რომ ჩვენი არჩევანის შედეგად გვეძლევა საშუალება, ვიგრძნოთ მისი შედეგი. თუ კარგს ვირჩევთ, დროთა განმავლობაში ბედნიერებას ვიგრძნობთ. თუ ბოროტს ვირჩევთ, მომავალში სინანული და მწუხარება გველის. ეს

შედეგები უდაოა, თუმცა ხშირად ისინი გარკვეული მიზნის გამო დროში იწელება. დალოცვა რომ იმწუთასვე მოდიოდეს, კარგის არჩევანი არ განამტკიცებდა რწმენას. რადგან მწუხარება ასევე ზოგჯერ დროში იწელება, საჭიროა რწმენა იმისთვის, რომ იგრძნო საჭიროება – ადრე ეძიო ცოდვის მიტევება იმის ნაცვლად, რომ შემდეგში ვიგრძნოთ მისი სამწუხარო და მტკივნეული შედეგები.

მამა ლეხი წუხდა მისი ზოგიერთი შვილისა და მათი ოჯახების არჩევანის გამო. იგი იყო დიადი, კეთილი ადამიანი, ღვთის წინასწარმეტყველი. იგი ხშირად მოწმობდა ჩვენს მხსნელზე, იესო ქრისტეზე. იგი იყო მორჩილებისა და მსახურების მაგალითი, როცა უფალმა მოუწოდა მას, დაეტოვებინა მთელი თავისი მიწიერი ქონება, რათა ოჯახი განადგურებისგან გადაერჩინა. ცხოვრების ბოლოს იგი მაინც მოწმობდა შვილებისთვის. ლეხის, როგორც მხსნელს, მიუხედავად მისი ძალისა – წაიკითხოს მათი გულები და დაინახოს მომავალი – როგორც სევდიანი, ისე მშვენიერი, სულ გაშლილი ჰქონდა ხელები ოჯახის ხსნისკენ წასაყვანად.

დღეს მამა ლეხის მილიონობით შთამომავალი ამართლებს თავის იმედს მათში.

რისი გაკეთება შემიძლია მე ან თქვენ იმისთვის, რომ გადმოვიღოთ ლეხის მაგალითი? მისი მაგალითის მისაბაძად ჩვენ შეგვიძლია ყოველდღიურად ვისწავლოთ წმინდა წერილი და დავაკვირდეთ.

მე მოგცემდით რჩევას, განიხილოთ თქვენი ოჯახისთვის განკუთვნილი იმედის როგორც ახლომომავალი, ასევე შორეული მემკვიდრეობა. მოკლე ხანში გაჩნდება უბედურება და სატანა იხარხარებს. არის ის, რასაც მოთმინებით და რწმენით უნდა ველოდებოდეთ, რადგან უფალი თავის დროზე და თავისი ხერხით მოქმედებს.

არის ის, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ ადრე, როცა თქვენი საყვარელი ადამიანები ახალგაზრდები არიან. გახსოვდეთ, რომ ყოველდღიური ოჯახური ლოცვა, ოჯახთან ერთად წმინდა წერილის შესწავლა და მოწმობების გაზიარება ზიარების შეკრებებზე უფრო ადვილი და ეფექტურია მაშინ, როცა ბავშვები პატარები არიან. პატარები ხშირად იმაზე უფრო მგრძნობიარენი არიან სულიწმინდის მიმართ, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

როცა ისინი გაიზრდებიან, მათ ეხსომებათ ის ჰიმნები, რომლებსაც ისინი თქვენთან ერთად მღეროდნენ, ან სიტყვები წმინდა წერილიდან, ან მოწმობები. სულიწმინდა ყველაფერს შეახსენებს მათ, მაგრამ სიტყვები წმინდა წერილიდან და ჰიმნები ყველაზე დიდხანს ემახსოვრებათ. ეს მოგონებები გახდება ის, რაც მათ უკან მოაბრუნებთ, თუკი ისინი რაღაც დროით, იქნებ წლების განმავლობაში, გზიდან გადაუხვევენ, მარადიული ცხოვრებისკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენ გვჭირდება მომავლის სურათი, როცა მათ, ვინც გვიყვარს, სამყარო მიიზიდავს და მათ რწმენას ეჭვის ღრუბელი გადაეფარება. ჩვენ გვაქვს იმედი, რწმენა და მოწყალება, რომლების წინ მიგვიძღვიან და მათ აძლიერებენ.

მე ეს მინახავს, როგორც ორი ცოცხალი ღვთის წინასწარმეტყველის მრჩეველს. ისინი არიან ინდივიდუალური განუმეორებელი პიროვნებები. და მაინც, როგორც ჩანს, იზიარებენ მუდმივ ოპტიმიზმს. როცა ვინმე ეკლესიაში რაიმეს გამო განგაშს ატეხს,მათი ყველაზე ხშირი პასუხია: „არაუშავს, ყველაფერი მოგვარდება“. მათ, როგორც წესი, უფრო მეტი იციან პრობლემის შესახებ, ვიდრე მათ, ვინც განგაშს ტეხს.

მათ ასევე იციან უფლის ხერხი და ამიტომ ისინი ყოველთვის იმედიანად არიან მის სასუფეველთან მიმართებაში. მათ იციან, რომ იგი მის სათავეშია, ყოვლისშემძლეა და დარდობს ჩვენზე. თუ თქვენ მას თქვენი ოჯახის სათავეში დააყენებთ, ყველაფერი მოგვარდება.

ჰენრი აირინგის შთამომავლებმა, როგორც ჩანს, გზიდან გადაუხვიეს, მაგრამ მისი მრავალი შთამომავალი დილით 6 საათზე ღვთის ტაძარში მიდის იმ წინაპრებისთვის წეს-ჩვეულებების ჩასატარებლად, რომლებიც არასოდეს უნახავს. მათ ამოძრავებთ იმედის მემკვიდრეობა, რომელიც მან მათ დაუტოვა. მან დატოვა ის მემკვიდრეობა, რომელზეც პრეტენზიას მრავალი მისი შთამომავალი აცხადებს.

როცა ჩვენ რწმენით გავაკეთებთ ყოველივე შესაძლებელს, უფალი გაამართლებს ჩვენს იმედებს იმაზე დიდი დალოცვებით ჩვენი ოჯახებისთვის, ვიდრე თქვენ ეს წარმოგიდგენიათ. მას საუკეთესო სურს მათთვის და ჩვენთვის, მისი შვილებისთვის.

ჩვენ ყველანი ცოცხალი ღმერთის შვილები ვართ. იესო ნაზარეველი მისი საყვარელი ძე და ჩვენი აღმდგარი მხსნელია. ეს მისი ეკლესიაა, სადაც მოიპოვება მღვდლობის გასაღებები, რის შედეგადაც ოჯახებს შეუძლიათ მარად ერთად იყვნენ. ეს ჩვენი იმედის ფასდაუდებელი მემკვიდრეობაა. მე ვმოწმობ ამის ჭეშმარიტებას ჩვემი უფლის, იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. იხ. Henry Eyring reminiscences, 1896, typescript, Church History Library, 16–21.
2. იხ.აბრამი 3:24–26.
3. იხ. 3 ნეფი 10:5.

© 2014 Intellectual Reserve, Inc.მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *Visiting Teaching Message, May 2014.* Georgian.10865 131